

დებულება

საქართველოს რაგბის კავშირის ქალთა ეროვნული ნაკრების კანდიდატთათვის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის გამოვლენის და სტიპენდიის მინიჭების წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სტიპენდიის დანიშვნის მიზანია სრკ-ს ქალთა ეროვნული ნაკრების კანდიდატთა/წევრთა წახალისება და მათი საერთო წვრთნისა და მომზადების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.
2. სტიპენდია ენიჭებათ საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრების კანდიდატს/კანდიდატებს, წევრს/წევრებს ყოველწლიურად, ერთი სავარჯიშო/სათამაშო წლის ვადით.
3. სტიპენდიანტების რაოდენობა განისაზღვრება კომიის მიერ, გაიცემა მაქსიმუმ 25 (ოცდახუთი) მოთამაშეზე და შეადგენს მინიმ 150 (ასორმოცდაათი) და მაქსიმუმ 600 (ექვსასი) ლარს ერთი მოთამაშისათვის.

მუხლი 2. სტიპენდიანტთა შერჩევის წესი

1. სტიპენდიანტთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია (შემდგომში - „კომისია“)
2. კომისია იქმნება ს.რ.კ.-ს პრეზიდენტის ბრძანებით განსაზღვრული ვადით არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრის შემადგენლობით, რომელიც იქნება დაკომპლექტებული კომპეტენტური სპეციალისტებისგან.
3. სტიპენდიის დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევა ხდება ამ დებულებით დადგენილი წესით.

მუხლი 3. სტიპენდიის მინიჭების პირობები.

1. სტიპენდია გაიცემა (ინიშნება) ყოველი სავარჯიშო წლის დასაწყისში (არაუგვიანეს 10 აპრილისა).
2. სტიპენდია (სოციალური) გაიცემა:
 - სტუდენტებზე;
 - თბილისში (ძირითადი საწვრთნელი ცენტრი) მუდმივი ბინადრობის არმქონე მოთამაშეებზე;
 - სოციალურად დაუცველ მოთამაშეებზე.
3. სტიპენდია (საპატიო) გაიცემა:
 - კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე ნაკრებისთვის და ქალთა რაგბის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის.

4. სტიპენდია (სოციალური) არ გაიცემა:

- კერძო ან სახელმწიფო დაწესებულებებში დასაქმებულ მოთამაშეებზე.
- მოთამაშის რომელიც წინა სავარჯიშო წლის, ვარჯიშებზე დასწრება არ აღემატება 70%-ს.

მუხლი 4. სტიპენდიის გაუქმების წესი

1. სტიპენდიის გაუქმება ხდება:

- სრკ-ს ქარტიის დარღვევის საფუძველზე;
- უღირსი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც არღვევს მსოფლიო რაგბიში დამკვირდებულ ქცევის წესებს;
- Keep Rugby Clean-ის წესების დარღვევის შემთხვევაში;
- მოთამაშის მიერ სავარჯიშო პროცესის ხანგრძლივად და არასაკმატო მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში.
- კომისიისთვის არასწორი ინფორმაციის/მონაცემების მიწოდების შემთხვევაში ამ გარემოების დადგენისთანავე.